საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2166/01
10/03/2021

2166-01-2-202103101327

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
მის: ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12
ელ.ფოსტა: Giasopadze@georoad.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 თებერვლის N2949 წერილი, რომელიც ეხება ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებასთან, მდ. ლიახვის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ დოკუმენტის შესწავლით და წარმოდგენილი shp ფაილებისა და კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია იდენტურია თქვენ მიერ, 2018 წლის 27 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორში (წმინდაწყლის დასახლება) მდ. ლიახვის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ტერიტორიისა, რაზეც, „გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორში წმინდაწყლის დასახლებაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ლიახვის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის N 2-1015 ბრძანებით უკვე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის N 2-1015 ბრძანებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე